

## უცხოეთის მოქალაქეთა აკადემიაში მიღებისა და

### სწავლების თავისებურებანი

აკადემიის მოღვაწეობის ერთერთ მიმართულებას წარმოადგენს ინტეგრაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ასეთი ინტეგრაციის მთავარი ნაწილია უცხოეთის მოქალაქეთა მომზადება შემდეგ სპეციალობებში:

- გემთწამყვანი.
- გემების ენერგეტიკული დანადგარების ექსპლოატაცია
- სატრანსპორტო საშუალებების კომპლექსები და ელექტრონული სისტემები
- ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზირებული მართვა
- რადიოელექტრონული მოწყობილობები, სისტემები და კომპლექსები
- სამართლისმცოდნეობა
- ორგანიზაციის მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სასწავლებლად აკადემიაში მიიღებიან უცხოეთის მოქალაქეები რომელთაც გააჩნიათ სრული საშუალო განათლება, შეზღუდვების გარეშე რასობრივი ნიშნების, კანის ფერის, პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა რწმენისა, სქესის, ეთნიკური და სოციალური წარმოშობის, მატერიალური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ენობრივი და სხვა ნიშნებისა.

აკადემია ახორციელებს უცხოეთის მოქალაქეების მიღებას დღის სწავლების ფორმით შემდეგი საგანმანათლებლო -

კვალიფიცირების დონეებზე: ბაკალავრი, სპეციალისტი ან მაგისტრი, იმ პირობით, თუ გაივლიან ოდესის ნაციონალურ საზღვაო აკადემიაში სამედიცინო პროფესიონალურ შერჩევას. პირები, რომლებიც არ გაივლიან სამედიცინო შერჩევას ან არ შეეფერებიან ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენილ მოთხოვნებს, არ დაიშვებიან კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

უცხოეთის მოქალაქეთა აკადემიაში სწავლება ხორციელდება რუსულ ენაზე კონტრაქტის საფუძველზე არჩეული სპეციალობის სასწავლო გეგმებით. კანდიდატებისათვის, რომლებიც არ ფლობენ რუსულ ენას, ტარდება აუცილებელი 10 თვიანი მოსამზადებელი კურსები რუსულ ენაში სპეციალური ტერმინოლოგიისა და რუსული ენი შესწავლის მიზნით, უკრაინის ისტორიის გასაცნობად, აკადემიის ტრადიციების, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების ცოდნის განსამტკიცებლად.

მოსამზადებელი განყოფილების დამთავრებისას გამოსაშვები გამოცდები ოდესის ნაციონალურ საზღვაო აკადემიაში წარმოადგენს მისაღებ გამოცდებს აკადემიის 1 კურსზე. უკრაინის სხვა უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელი განყოფილების კურსდამთავრებულნი, აგრეთვე უცხოეთის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ რუსულ ენას, აკადემიაში ჩარიცხვისას გაივლიან გასაუბრებას რუსულ ენასა და მათემატიკაში (დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად).

**მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლების ღირებულება შეადგენს 25 200 გრივნას.**

**სწავლების ვადები:** ბაკალავრი – 4 წელი, მაგისტრი, სპეციალისტი – 1,5 წელი, სწავლების საერთო ვადა 5,5 წელი.

„სპეციალისტისა“ და „მაგისტრის“ დონეზე ზოგადსაგანმანათლებლო–კვალიფიკაციის „ბაკალავრის“ დონის ონსა-ს კურსდამთავრებულნი მიიღებიან მაგისტრატურისათვის ინგლისურ ენაში შემაჯამებელი მისაღები გამოცდისა და ატესტაციის შედეგების მიხედვით, სხვა უმაღლესის სასწავლებლების კურსდამთავრებულნი აბარებენ გამოსაშვებ გამოცდას სპეციალობაში და ინგლისურ ენაში მაგისტრატურისათვის.

**ბაკალავრის მოსამზადებელი კონტრაქტის ღირებულება შეადგენს 201 600 გრ (50 400 გრივნას ყოველწლიურად) სპეციალისტისა 79 500 გრ (პირველი კურსი 53 000 გრ, მეორე კურსი – 26 500 გრ)**

უკრაინაში ჩამოსასვლელი ვიზისათვის (შორეული უცხოეთის ქვეყნებისათვის, აგრეთვე თურქმენეთისა და ტაჯიკეთისათვის) აუცილებელია სასწავლებლად მოწვევის მიღება, რისთვისაც უნდა წარადგინოთ აკადემიაში ან ფირმა-პარტნიორთან შემდეგი ცნობები: გვარი, სახელი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი, ეროვნული პასპორტის სერია და ნომერი, მოქალაქეობა, ვიზის მიმღები ქვეყანა.

სასწავლებლად მოწვევა ეძლევა აბიტურიენტს პირადად ან ფირმა–პარტნიორს მიმდინარე წლის 1 ივნისიდან.

აკადემისში ჩასარიცხად აუცილებელია 1 აგვისტოდან წარადგინოთ შემდეგი საბუთები:

- დადგენილი ნიმუშის ანკეტა
- საზღვარგარეთის პასპორტი და მისი ასლი
- ორიგინალი და ასლი დოკუმენტისა სრული საშუალო განათლების შესახებ დანართან ერთად

- სამედიცინო სერტიფიკატი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დამტკიცებული ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის ოფიციალური ორგანოს მიერ, რომლიდანაც ჩამოვიდა უცხოელი, გაცემული არაუგვიანეს 2 თვისა მის უკრაინაში სასწავლებლად ჩამოსვლამდის.
- დაბადების შესახებ საბუთის ორიგინალი და ასლი
- 12 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3,5X 4,5 სმ
- დაზღვევის პოლისი (ფორმდება აკადემიაში ჩარიცხვის შემდეგ, აგრეთვე უკრაინაში ყოფნის ვადის გაგრძელების თაობაზე საბუთების ჩაბარებისას).

პასპორტი, საბუთი განათლების შესახებ, სამედიცინო სერტიფიკატი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და საბუთი დაბადების შესახებ უნდა იყოს ნათარგმნი უკრაინულ ენაზე და ნოტარიულად დამტკიცებული, რაც უნდა შეესაბამებოდეს მათი გამცემი ქვეყნის კანონმდებლობას, აგრეთვე ლეგალიზებული დადგენილი წესის თანახმად შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს მიერ უკრაინაში.

**სწავლა იწყება – 1 სექტემბერს.**

აკადემია არ გაიღებს რეგისტრაციის, ვიზების გაფორმებისა, ცხოვრებისა და კვების ხარჯებს, კურსანტების უკრაინის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მგზავრობისა ყველა შემთხვევაში.

აკადემია არ იღებს არავითარ პასუხისმგებლობას კურსანტების გამომგზავრებასთან დაკავშირებით და არ უზრუნველყოფს კურსანტებს მათი საცხოვრებელი ფართობით.

უცხოელ სტუდენტებს უფლება აქვთ მიიღონ ადგილი აკადემიის საერთო საცხოვრებელში, მონაწილეობა მიიღონ აკადემიის სოციალურ და სპორტულ -კულტურულ ცხოვრებაში, აგრეთვე სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში.

დამატებითი ინფორმაცია

სასწავლო ნაწილი უცხოელ სტუდენტებთან მუშაობაში:

ტელ. +38048 732 52 30 E-mail: [dwfs@onma.edu.ua](mailto:dwfs@onma.edu.ua)